დაკარგული ქულა

“დინამო” (თბილისი) – “კრილია სოვეტოვი” (კუიბიშევი). 1:1 (0:1).
თბილისი. ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონი. 7 ივნისი.
მსაჯი: ა. ბელოვი (ლენინგრადი).

გათამაშების ლიდერთა შეხვედრამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ყველა თვლიდა, რომ თბილისელები ისევე მაღალოსტატურად ჩაატარებდნენ მატჩს, როგორც მოსკოვის ცდსა–სთან, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა.

ანგარიში სტუმრებმა მატჩის დასაწყისშივე გახსნეს. სმისლოვმა საჯარიმო დარტყმა კართან მიაწოდა და ვასილიევს არავინ შეუშალა ხელი თავით გაეტანა ბურთი.

“დინამომ” ანგარიში მხოლოდ მეორე ტაიმში გაათანაბრა (ანთაძე).

თბილისელებმა დაკარგეს მეტად მნიშვნელოვანი ქულა.

დიდი შეცდომა იყო ზაზროშვილის შეცვლა ჭკუასელით.

დუბლიორთა მატჩი (გორში) დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით.

8 ივნისი, 1951 წ.